

1961


№ 10

თბილისი გაიხი

1961

ნიაზე

გამოცემის XXXIX წელი, ზანი 20 კავ.



...ვფიქრობ, რომ ხავებით სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვი, რომ ჩაი, რომელსაც საქართველოში აწარმოებენ, საუკეთესო ჩაი მსოფლიოში.

(ამხანაგ ნ. ს. ზრუშჩოვის სიტყვიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე თბილისში).



ნაზ. გ. ლომიძის

2

1

— კვლავ დიდება, კვლავ სახელი მშრომელ ხალხის გამრჯე ხელებს; საქართველოს ჩაის ბუჩქი საქვეუროდ რომ ასახელეს.

3

ქიზიყში მოგზაურობის დროს, შარა-გზაზე ორი ფურცელი ქაღალდი ვიპოვნე. იგი ქარს მოჰქონდა ზემო მაჩხანის მხრიდან. აი რა ამოვიკითხე ამ ქაღალდზე:

„ჩვენი სოფლის ზოგიერთი უსაქმურის პრაქტიკული საქმიანობით გამოირკვა, რომ სპორტულ თამაშობათა ნაირსახეობაში ჯერ კიდევ მრავალი გაუგებრობა არსებობს. ამ გაუგებრობებს ზოგჯერ უკიდურეს უსამართლობამდეც კი მივყავართ.“

ჭადრაკის თამაში, მაგალითად, სპორტულ თამაშთა, სიაშია შეტანილი და ბანქოს, ანუ კარტის თამაში კი აზარტად ითვლება. რატომ? რის გამო? ჭადრაკი თუ სპორტად იმიტომ იგულისხმება, რომ მის სათამაშო ფიგურათა შორის ცხენიც დებულობს მონაწილეობას, განა ბანქოს ქაღალდზე არ შეიძლება იგივე ცხენი, ან თუ გნებავთ, საქვეყნოდ ხმაგავარდნილი ცხოველი — სახედარი დაიხატოს? ესეც რომ არ იყოს, რას ნიშნავს, ბოლოს და ბოლოს, სიტყვა „აზარტი“? ყველა ლექსიკონის მიხედვით „აზარტი“ ფრანგული სიტყვაა და გატაცებას ნიშნავს. გიშველათ ღმერთმა! ბანქოს თამაშით თუ ერთეულეზბია გატაცებული, ჭადრაკმა ხომ მთელი მსოფლიო გაიტაცა. დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს, ყველას ტალ-ბოტვინიკი აკერია პირზე და აზარტად, ანუ გატაცებად მაინც ბანქოს თამაში ითვლება?!

ეს უსამართლობა უფრო შორსაც მიდის. ჭადრაკის თამაში კულტურულ თამაშად ითვლება. ბანქოს თამაში კი მაშინაც არ ითვლება კულტურულად, კულტურის სახლის ეზოშიც რომ ჩატარდეს.

ეს თეორიული საბუთი. ჩვენი სიმართლის დასამტკიცებლად, თუ გნებავთ, პრაქტიკულადაც გადავხედოთ ჩვენი სოფლის ზოგიერთი ახალგაზრდის საქმიანობას.

წარმოვიდგინოთ სოფლის კულტურის სახლის ეზო. აქ თავი მოუყრია რამდენიმე ახალგაზრდას. მათი თითები სწრაფად ჩითავენ ბანქოს ქაღალდს და ისინი გაიძახიან:


— მოდის ორი მანეთი, ანგულ, ორიც მომეცი.

— მოვიდა ორი კარტი. დაიწვი, ბუჩო?
— ვინ დაიწვა, ვინა! ახლა დედისერთასთან მიდი.

— რამდენი?

— ერთი კარტი და მთელი ბანკი. ოცდაერთია, დაყაჭე ფული!

ამ ტუბილი ბაასის ავტორები არიან ჩვენი სოფლის ახალგაზრდები: ფარნაოზ რობიტაშვილი, ომარ ბუჩუკური, ომარ ოზბეთელაშვილი, თამაზ ბოსტოლანაშვილი, ჯემალ ჯამასპიშვილი და მისი სეხნია ტოკლიკიშვილი.



როგორც ვხედავთ, აქ არავითარ აზარტს, ანუ გატაცებას არა აქვს ადგილი, გარდა იმისა, რომ მოგებული ფული ომარ ბუჩოკს გაიტაცა.

რაკი ბანქოს თამაშის კულტურულ მხარეს გავეცანით, ახლა ვილაპარაკოთ მის სპორტულ განხრავდაც. ამ შემთხვევაშიც ვერიდოთ გატაცებას და გავიხსენოთ მხოლოდ ერთი ფაქტი.

ბანქოს თამაშით ჯიბეებგამოფხევილ თამაზ ბოსტოლანაშვილსა და ფარნაოზ რობიტაშვილს რომ თამაში კვლავ გაეგრძელებინათ, ისევ და ისევ საჭირო იყო ფული. ფულის შოვნა კი მათ, როგორც ავტომძღოლთა თანაშემწეებს, მხოლოდ მანქანის საშუალებით შეეძლოთ. და აი, ამას წინათ, ბანქოში ფულის წაგების შემდეგ, როცა კარგად ჩამოხეხულა, თამაზი და ფარნაოზი კოლმეურნეობის გარაჟს მიადგნენ. ხალტურისთვის განკუთვნილი მანქანა მათ ალაყაფის კარამდე წვალეზბით დაავრეს და, რაკი ხსენებული კარი ვერ გააღეს, ეს უკანასკნელი მთლიანად ჩამოსხნეს. ყველა დაგვიწმენება, რომ ასეთი სიმძიმის დამძლევა, ალაყაფის კარის ჩამოსხნა მძლეოსნობის ერთი სახეა. რაც შეეხება სპორტის მეორე სახეს — მარათონულ რბენას, ეს მას შემდეგ განვითარდა, რაც სპორტსმენებს კოლმეურნეობის დარაჟმა შავ საქმეზე წაასწრო. დადგენილია, რომ თამაზი და ფარნაოზი ყოველ მეოთხედ წაშვი ექვსი ნაბიჯით წინ უსწრებდნენ დადგენებულ დარაჟს.

ასე, ბატონო ლექსიკოგრაფებო, მოსპეტ გაუგებრობა. ჩამობრძანდით ჩვენს სოფელში, ახლოს გაეცანით საქმეს და აღნიშნეთ თქვენს ლექსიკონებში, რომ ჭადრაკი, თავისი ოკრობოკროდ მოსტუნავე მკვდარი ცხენით ვერაფერი სპორტია და ამ საქმეში უპირატესობა მხოლოდ ჩვენებურ ბანქოს უნდა მიეკუთვნოს...

ხელნაწერის ბოლო წახეულია. დასასრულის წინ გადარჩენილია ფანქრით მიწაწერი მხოლოდ სამი სიტყვა: „ზემო მაჩხანის სკოლის“... და აქ წყდება ყველაფერი. ეს სამი სიტყვა ალბათ ავტორის ვინაობასა და მისამართს უნდა ეკუთვნოდეს. ბანქოს მოთამაშეთა ზუსტი მისამართი კი ჩვენთვის დღემდე დაუდგენელია, რადგან, არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ზემო მაჩხანში, რომლის კოლმეურნეობამაც საქვეყნოდ ასე გაითქვა სახელი, მსგავსი ახალგაზრდებიც ეყოლებათ.

ბ. ივანიშვილი



გიგლა ფირცხალავას

ჟურნალ „ნიანგში“ მოღვაწეობის ოცი წლისთავის შესრულების გამო

თურმე ოცი წელია, რაც პირველად «ნიანგლე» და ხუმრობა-ხუმრობით გადიქეც სანიანგედ, დავაჟაკდი სიცილში და, ხუმრობაგაშვებით, სოკოსავით ამრავლე ნაგივლარი შარეები. ჰოდა, დარჩეს ჩვენს შორის და, კაცმა რომ განსაჯოს, რას ერჩოდი მაგ შენ თავს, რომ გახადე საშარჟოდ?!

აფხაზეთის ულამაზესი შავი ზღვის სანაპირო, ბაღი-ქალაქი სოხუმი. კვიპაროსები, პალმები, მაგნოლიები, ფიჭვები, დაფნის ხეები და სურნელოვანი ყვავილნარი, მოსაფლტებული ქუჩები, მცხუნვარე მზე, მოლივლივე ზღვა და... სახლები, სახლები, სახლები!

აქ კაცს სულ სეირნობა გინდა. გინდა და გაიარე, ვინ გიშლის, ხოლო, თუ კუიბიშვიის ქუჩაზე გაივლი და შეხედე ორჯონიკიძის ქუჩის კუთხეში აღმართულ ორსართულიან კაპიტალურ ლამაზ შენობას, არ შეცდვ და რაიმე დაწესებულება არ გვეგონოს. ეს კერძო სახლია, მისი მფლობელი კი მართლაც, რომ რკინისმკვანეტელია, აბა შეხედე მის რკინის გალავანს, დიდ რკინის ჭიშკარს და რკინისავე პარმალს. მერე კი, თუ ანგარიში გვხვდება, გამოითვალე, რამდენი რკინის დეტალის დამზადება შეიძლებოდა ჩვენი მეურნეობისათვის ამ მასალისაგან? თუ თნები გაქვს, აუცილებლად ყალყზე დაგიდგება.

და მერე, რა საინტერესოა ამ სახლის მშენებლობის ისტორია: ოდესღაც აქ იდგა შედარებით პატარა სახლი, რომელიც ვინმე ნ. ფ. თურქიას ეკუთვნოდა. მისი ფართობი ოთხმოცდათორმეტი კვადრატული მეტრით ამოიწურებოდა. და აი, 1949 წლის 9 დეკემბერს, ეს სახლი შეიძინა კრიხელის ოჯახმა, რის შემდეგ პატარა განცხადება შეიტანა ქალაქის საბჭოში — თუ შეიძლება, ცოტას შევკეთებთ ამ სახლსო. ნება, რა თქმა უნდა, დართეს.

დაიწყო „შეკეთება“ და თურქიას ყოფილ სახლს ირგვლივ ახალი სახლის კედლების ალყა შემოარტყეს, სახურავი გადახურეს და... ძველი სახლი ახალ სახლში მოექცა. შემდეგ ძველი სახლი გამოანგრეს და დარჩა ახალი მხრებგაშლილი, ორსართულიანი, კაპიტალური შენობა, რომელიც უკვე არა ოთხმოცდათორმეტ, არამედ თითქმის ორას კვადრატულ მეტრ ფართობს ითვლის.

დაეუშვათ და სეფე კრიხელმა იფიქრა ასეთ კომბინაციას ვინ შეამჩნევს, ვინ დაინახავსო. იფიქრა, თუნდაც იმიტომ, რომ სეფე კრიხელი უსინათლოთა საზოგადოებაში მუშაობს. მაგრამ როგორ შეეძლო ასე ეფიქრა მის ძმას გაბო კრიხელს, რომელიც სამრეწველო მაღაზიაში სექციონერად მუშაობს. ბოლოს და ბოლოს, აქ ხომ მოტყუება ყოვლად შეუძლებელია? საკვირველია!

საკვირველია ისიც, რომ კრიხელს, რატომღაც არა აქვთ საბინაო წიგნი და მხოლოდ ზეპირად აცხადებენ: აქ, ამ სახლში ოცი სული ვცხოვრობთო.

საბინაო წიგნი არც მიხეილ აბრამის-ძე და აბრამ ისაკის-ძე მირილაშვილებს აქვთ, ან, თუ აქვთ, საიდუმლოდ ინახავენ და არავის აჩვენებენ. სამაგიეროდ მათი სასახლე, რომელიც გოგოლის ქუჩაზეა აღმართული და 83 ნომრით აღირიცხება, ძალიან თვალსაჩინოდ ჩანს. ერთი კია, რომ აბრამ მირილაშვილს კრიხელივით სახლის შენებაზე ოფლი არ უღვრია. 1960 წელს, ჩამოვიდა თუ არა სამტრედიიდან, ცოტა თავის პენსია დაამატა, ცოტაც ალბათ მისი შვილი მიხეილი მიეშველა, რომელიც ხალიჩების საამქროში ოსტატად მუშაობს და ბირდაპირ გაშენებული სასახლე იყიდა. როგორც ამბობენ, ეს

სასახლე სულ ცოტა, ნახევარი მილიონი მანეთი მაინც ღირს ძველ ფულზეო. მერე და რა მოხდა, ახალ ფულზე ხომ მხოლოდ ორმოცდაათი ათასი მანეთია. საოცარი მხოლოდ ისაა, რომ რატომ მაინცდამაინც პენსიონერ მამა აბრამზეა გაფორმებული სახლი და არა შვილ მიხეილზე? რა თქმა უნდა, აქ არაფერი ისეთი არაა და მიხეილი მამა აბრამის ბატკანით უმწიკვლოა.

სეირნობა გინდათ? გაიარ-გამოიარეთ, ვინ გიშლით, გადით სოხუმის განაპირა რაიონში, სულ რამდენიმე ნაბიჯი გადადგით და თქვენს თვალწინ ლამაზი სოფელი ბესლეთი გადაიშლება. გაიხედეთ მარცხნივ და კიდევ უფრო დაატკბობს თქვენს მზერას ბექობზე წამოჭიმული ორსართულიანი შენობა. ვის ეკუთვნის? მართალი გითხრათ, ძნელია ამის თქმა. უმჯობესია მოვყვეთ, როგორ აშენდა ეს სახლი.

სოხუმში ცხოვრობდა ღრმა მოხუცი დიმიტრი სპირიდონის ძე ალხაზოვი და ჰყავდა მას ვაჭიშვილი ვასილი და ჰქონდა ვასილს ქალაქის ცენტრში მშენებრივი ბინა და ისურვა ვასილმა სახლი მეორე. დააწერინა განცხადება მამა დიმიტრის ბესლეთის კოლმეურნეობაში კოლწევრად მიმიღეთ და ნაკვეთიც გამომიყავითო და 1957 წლის 28 ივლისს წერეთლის სახ. კოლმეურნეობის კრებამ დიმიტრი კოლწევრად მიიღო და საკარმიდამო ნაკვეთი 0,25 ჰა გამოუყო და ცოტა ხანში სასახლე წამოიჭიმა. რა თქმა უნდა, დიმიტრი მოხუცი კაცია და კოლმეურნეობას დიდ სარგებლობას ვერ მოუტანდა, 1957 წელს დიმიტრის არ უმუშავია კოლმეურნეობაში, არ უმუშავია არც 1958 წელს. 1959 წელს დიმიტრიმ 24 მანეთი გამოი-



ეს სახლი არც ვაჭრობის სამინისტროს შენობაა და არც უსინათლოთა საზოგადოების სანატორიუმი — ეს ძმები კრიხელების ფარდალალა „ქონია“.

მუშავა, ხოლო 1960 წელს 56 მანეთი, სასახლე კი მაინც ააშენა. საიდან? შვილი მისი მუშაობდა სოხუმში ხილის შემფუთავი ქარხნის დირექტორად, ჰქონდა 69 მანეთი ხელფასი, მრავალი დარღვევა და საეჭვო ოპერაცია და გაათავისუფლეს ვასილი სამუშაოდან, გაათავისუფლებისთანავე იგი კიდევ უფრო საპასუხისმგებლო სამუშაოზე წარადგინეს კანდიდატად, თხოვეს, შენ იყავი სოხუმის რაიონის დამზადების ინსპექტორი. ვასილმა არ იუარა.

ვასილს ჰქონდა მრავალი დარღვევა და ააშენა სახლი. აი სოხუმის ცენტრი, მინისტრთა საბჭოს შენობა, ფრუნზეს ქუჩა, უზარმაზარი ახალი სახლი. ერთ დროს ქალაქის საბჭომ გადაწყვიტა აეღო ამ რაიონში სახლები და სკვერი გაეშენებინა. ყოველ შემთხვევაში, აზრადაც არავის მოსვლია, აქ, სოხუმის გულში, კერძო სახლის აგება თუ შეიძლებოდა... მაგრამ შეიქმნა მშენებელთა ისეთი კოოპერაცია, რომლის წინაშეც უძლური აღმოჩნდა ყოველგვარი დადგენილება. ფრიად რომანტიკული სახელი ეწოდა ამ კოოპერაციულ მშენებლობას — „თოლია“.

აი, მათი პატივცემული წევრები: რაფიელ ჯოხაძე — ტყვარჩელის მეორე შახტის უფროსი. ჩვენში დარჩეს და ამ შახტას შესახებ „სოფეტსკაია აბხაზია“ ა. წ. 26 აპრილის ნომერში წერდა: „ძალიან ჩამორჩა № 2 შახტა, მასზე 10 ათას ტონაზე მეტი სათბობია ვალად“. რა თქმა უნდა, რაფიელს შახტაზე ზრუნვისათვის ნაკლები დრო დარჩებოდა; მიხეილ ახუბა — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე; ოლღა რაბინოვიჩი — ტყვარჩელის საშუალო სკოლის მასწავლებელი; ემილ კრუპნიკი — ტყვარჩელის სამშენებლო სამმართველოს ინჟინერი; მატევი შაცი — ტყვარჩელისაშვირის ხე-ტყის საწყობის გამგე; სურენ მარდივეი — ავტობაზის გამგე.

როგორც ხედავთ, შეიკრა საუკეთესო ანსამბლი, სამშენებლო მასალა, ხე-ტყე, ტრანსპორტი... ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც მშენებლობისათვისაა საჭირო. მაგრამ ვინ გაკავა ქალაქის ცენტრში მშენებლობის საქმე? ვინ მისცა უფლება ტყვარჩელში მცხოვრებთ სოხუმში საკუთარი ბინების მშენებლობისა, მაშინ, როდესაც ყველა მათგანი ბინითაა დაკმაყოფილებული, ხოლო სოხუმში მცხოვრებ უბინაოთა განცხადებები უძრავად დევს. საკითხავია კიდევ ერთი, ჩააბარებენ თუ არა კოოპერაცია „თოლიას“ წევრები მათ საკუთრებაში-მყოფ ბინებს, როდესაც ახალგაბეულ



ეს მათი უდიდებულესობის მამა აბრამის და მამა აბრამის ძის მიხეილის რეზიდენცია გახლავთ.

სახლში ჩასასვლელად? ჯერჯერობით, ერთი რამ ცხადია, ახუბას ვაჭიშვილმა, რომელიც ხულოგნობისთვისაა დაპატიმრებული, განცხადება აფრინა: მამაჩემის ბინა ოქტომბრის ქუჩაზე მე დამიტოვეთ, აქ ცოტა ვიწროდა ვარო.

აფხაზეთის ულამაზესი შავი ზღვის სანაპირო, ბაღი-ქალაქი სოხუმი, კვიპაროსები, პალმები, მაგნოლიები, მცხუნვარე მზე, მოლივლივე ზღვა და... სახლები, სახლები, სახლები..

„ნიაგის“ სპეც. კორესპონდენტი ბ. მუტრაშვილი
„ნიაგის“ კორესპონდენტი ი. გაჩეხაშვილი.

316W и 46PJ 9-31/м...

[illegible]

გერე წყველი, წყაფუანებს,
 სახურების განთავლებიდან ჯანმრთელობის მიწმობა ჰყავს
 მკურნალს, წაღვით წინ დადგომებით, მითხრობს და გამიხსენებს.
 მივიდა დრო, არ დამიანებო მივედი.
 — უო, თუკენ რაზეწერით იყავით, არა?
 — რაზეწერა ახს პეკია, კალო?
 — ან თუ ვიმბრე თვითმართებით ვერ აიტანა, ან წინაა ზეგ-
 დ, ან ინფორმაცია გზისა, იმის დასაწყისი და წინაა, ან
 ერთი ერთი კაცია იმას დაუგეგმავს და წინაა, ან
 ერთი ერთი კაცია იმას დაუგეგმავს და წინაა, ან
 — ახლა რაზეწერა ჩაწერით ძირითად შემდგენლობით.
 — ან თუა უნდა!
 — კლორინით ისევ უნდა მივიდე!
 — ან თუა უნდა!
 — ჯანდაბანს, მაგრამ ახლა ჩემ დამიანებზე უნდაწოდდე!
 — ან თუა უნდა, ან თუა უნდა!
 — ან თუა უნდა, ან თუა უნდა!
 ისევ აძლავს ერთი ჩათის ჰეპა სისხლი, ისევ გაგაწეწავს

ისევ ამიღებს ურთი ჩაის ჭიქა სისხლი, ისევ გაბაშუქს ისევ



— სად გასკდი, ბარემ ეგ ლეინოც იქ ჩაგებეთქა ლეინოც
რას შოათრევდი!
— რას იწყევლები, ქალო, ეს ბოთლები წონაობის
დასაცავად წამოვიდეს!



1999

მეცნიერმა მაშამა.
შეილი წაათამაშა:
არ გაქვს ცოდნა და ნიჭი
მაგრამ მაინც რა გიჭირს,
ისეთს გაგზდი, იმაზონ:
რა ბიჭია, რა ბიჭი!
ითქვა სიტყვა და კიდევ
გადაიდგა ნაბიჯი.

შვილმა როდი აცხელა,
მამამ როდი აცია,
და თვითონვე დაიცვა
შვილის დისერტაცია,
ჰოდა, თუ თვით კაცია,
ახლა შვილიც კაცია.

ებ გახლდათ ვე ნაბიჯი,
 მაგრამ, ო, რა ნაბიჯი!
 ბიჭი გახდა სხვა ბიჭი,
 დაწყვლიათ თვალები,
 იძახიან ქალები:
 რა ბიჭია, რა ბიჭი!


ასე, მამის წყალობით,
რისი ნიჭით, რა ნიჭით,
ხოც მართლა მართლაცდა.

ကော ဝိဂ္ဇိတော, ကော ဝိဂ္ဇိတိ!

8. 2000

— მადრი რას ნიშნავს?

გვ. 10



(2211)

— ის მსხვილი კარტოფილი ამიწონე, შეიღო, შეიღა

თარგმნე რომ მონათესა,

სახელმწიფო ხარჯი

საქართველო
საბჭოთაო ქვეყანა

— გამიშვით, გამიშვით! — ნაბახუსევი ხმით გაჰქოდა ტანმორჩილი ახალგაზრდა და ხელიდან უსხლტებოდა მასთან ერთად ავტობუსის წინა ბაჟნიდან ამოსულ ამხანაგებს.

— აბა, ბილეთების ყიდვა არავინ გაბედოს, თორემ, მამის სულს გეფიცებო, სულ დავლენაზე ყველაფერს, — ყვიროდა გრძელთმიანი ჭაბუკი და შეუპოვრად მიაღწევდა კონდუქტორისაკენ შემხვედრი მგზავრების ტალღას.

— რას შეგები, კაცო, ფეხი გინდა მომტეხო? — აყვირდა ვიღაცა.

— ფეხს თუ უფროსილდებოდი, ფეხით წავიდოდი, ბიძიკო, — კულტურულად განუმარტეს დაზარალებულს.

— გვერდზე მიიწი ცოტა, ბოსტანში დადგმულ საფრთხილასავით რომ გაგიშლია ხელები.

— მოკეტე, თუ არა, სულ კი არ ვიქნები ასე გაქაჩული, ჩამოვა ხალხი, ცოტას გავთავისუფლები და მერე ხელები კი არა, თავიც აღარ მიგყვება სახლში.

— წინ წაიწიეთ, ბილეთები შეიძინეთ, — ისმის ღროდან საკუთარ სკამზე რომის იმპერატორივით გამოჭიმული ახმახი კონდუქტორის ხასი. ასეთი ბრგე ვაჟკაცის დანახვაზე უნებურად იფიქრებ: — ცოდეა არ არის, მას ტრაქტორის საჭის ნაცვლად ავტობუსის ბილეთების გრაგნილი ეჭიროს ხელში?!



აგერ, პირველმა ახალგაზრდამ ისარგებლა თავისი მომცრო ტანით, ჭინჭრასავით გაძვრა ხალხში, კონდუქტორთან მიიჭრა და ფული გადასცა.

— ჩვენი ძმა, ხუთი ბილეთის მიღლე! — კონდუქტორმა ხელის ვირტუოზული მოძრაობით ჩანთაში გაგზავნა მანეთიანი, მგზავრის ხურდა დაუბრუნა და შემდგომი მოქმედების განსაზღვრისათვის გამომცდელი თვალით შეხედა მას.

— ბილეთები არ არის საჭირო, — ყველას გასაგონად განაცხადა „მოწყალე“ ახალგაზრდამ, სიხარულისაგან გაღიმებული კონდუქტორის ტუჩებზე ყურებამდე მიღწია. სამაგიეროდ მგზავრმა ვაჟკაცის ტიტული მიიღო ჯილდოდ.

ყველაფერი ეს ხდება დღისით, მზისით, ყოველგვარი მორიდების გარეშე, მგზავრების თვალწინ. ამ „ვაჟკაცმა“ კონდუქტორისაგან სულ კაპიკ-კაპიკ მიითვალა კუთვნილი ხურდა, ხოლო ბილეთები არ გამოართვა და ამით მისი ღირებულება სახელმწიფოს ჯიბიდან მას აჩუქა. სახელმწიფოს ხარჯზე სურს დაიმკვიდროს სათნო ადამიანისა და უბაღლო ვაჟკაცის სახელი. ეს „ქველმოქმედი“ სულაც არ გრძნობს სინდისის ქენჯნას, რომ ის, მის მიერ „დაპატიმრებულ“ ახალგაზრდებთან ერთად, უბილეთოდ დასეირნობს ავტობუსით.

გაჩერებას ვუახლოვდებით. ახლა მეორე მხრიდან წამოდგნენ ჭაბუკები და ჩასასვლელად მოემზადნენ, ჩვეულების თანახმად, უკანა ბაჟნიდან ჩასვლას არჩევენ და კარებს ეხვევიან. ერთი მათგანი კონდუქტორს ძმაბიჭურად არტყამს მხარზე ხელს და, ნათხოვარი ნივთივით, რამდენიმე ბილეთს უკან უბრუნებს. კონდუქტორი სიხარულისაგან

ისე ადებს პირს, რომ ყველა კბილი აშკარად მოუჩანს. ადამიანის წლოვანების დადგენა რომ კბილების საშუალებით ხდებოდეს, უკვე ზუსტად გვეცოდინებოდა კონდუქტორის ასაკი.

ავტობუსი კარგად არ იყო გაჩერებული, რომ „ნაჭირავები“ ბილეთებით ნამგზავრი „ვაჟკაცები“ ზვავივით გადაეშენნენ უკანა კარიდან და რიგში მდგომ ქალთა წივილ-კივილი გამოიწვიეს.

— ბილეთები შეიძინეთ, ბილეთები! — სალამივით მიაგება კონდუქტორმა სიტყვები ავტობუსში ამოსულ ახალ მგზავრებს და სასწრაფოდ მიაჩეჩა ხელში ერთხელ უკვე გაყიდული და უკან დაბრუნებული ბილეთები.

„ვაჟკაცები“ ახალ მგზავრებშიც აღმოჩნდნენ. ერთმა ოთხი ბილეთი შეიძინა. კი არ შეიძინა, უფრო სწორად, ოთხი ბილეთის ფული აჩუქა სახელმწიფოს ჯიბიდან სხვას. მან ერთი წუთით ხელში შეატრიალა კონდუქტორის მიერ მიწოდებული ბილეთები, რომლებმაც ერთხელ უკვე მოიხადეს სამსახურებრივი ვალი და დიდკაცური იერით კვლავ უკანვე დაუბრუნა კონდუქტორს. სამაგიეროდ ამ უკანასკნელისაგან სწორუპოვარი რაინდისა და შეუღარებელი ვაჟკაცის ტიტული მიიღო.

მორიგე გაჩერებაზე ავტობუსში კონტროლიორი ამოვიდა. ჩვენამდე ბილეთები ყველას აღმოაჩნდა. ჯერი ახლად ნაკურთხ რაინდზე მიდგა. ცოტა ყოყმანისა და კონდუქტორთან თვალეზით გასაუბრების შემდეგ, მან განაცხადა: — მე გადავიხადე ბილეთების ღირებულება, მაგრამ ბილეთები...


— რის ბილეთები, რა ბილეთები! — დაჭრილი დათვივით აღრიალდა კონდუქტორი, — შეხედეთ, ხალხო, ეს ჯიბგირი, ეს ლაწირაკი ბილეთების მყიდველია?!

— შე მათხოვარო, შე უსინდისო, ახლა არ დაგიბრუნე ნაყიდი ბილეთები?! — უჩვეულო ხმით აზღავლდა უტიტულოდ დარჩენილი რაინდი. ორი გაჩერების მანძილზე გაგრძელდა საალერსო სიტყვების გაცვლა-გამოცვლა. საქმე საბოლოოდ 50-მა კაპიკმა გადაწყვიტა, რაც დაწესებულია, საერთოდ, უბილეთოდ მგზავრობისათვის.

ავტობუსი კვლავ მიჰქრის. ყოველ გაჩერებაზე იცვლება მგზავრთა შემადგენლობა. არ იცვლება მხოლოდ ცალკე სკამზე წამოსკუპებული კონდუქტორის სურვილი. ის ისევ ეძებს „ვაჟკაცებს“, რომლებიც სახელმწიფოს ხარჯზე ფულებს ჩაუჩხრიალებენ ჯიბეში.

დროა თავიდან მოვიშორეთ. აქა-იქ დარჩენილი ასეთი წამგლეჯები, რომლებიც სახელს უტეხენ საქალაქო ტრანსპორტის პატიოსან. მუშაკებს და ჯკუა ვასწავლოთ სახელმწიფოს ხარჯზე სათნო ადამიანისა და უბაღლო რაინდის ტიტულის მაძიებელ მგზავრებს.

ნ. ნუკრიძე.



ნაბ. დონისა

— ენა გაქვთ, მეგობარო?

— რასა ბრძანებთ, ბატონო, ენა რომ მქონდეს, ჩვენი ღირებულორი ერთ დღესაც არ გამაჩერებდა რესტორანში!

თი მათგანი კონდუქტორს ძმაბიჭურად არტყამს მხარზე ხელს და, ნათხოვარი ნივთივით, რამდენიმე ბილეთს უკან უბრუნებს. კონდუქტორი სიხარულისაგან

ნიანგი

— თქვენზე ამბობენ, ისეთი შიში ჰქონდა, სამუდამოდ და-
მუნჯდო. როგორ შეგებთხვით, მოგვიყვით!



ცოლი — დაქორწინებამდე რანაირ საალერსო სიტყვებს
არ მეუბნებოდი. სულ გადაგვიწყდა?

ქმარი — რა დამავიწყებდა, ჩემო ერთადერთო, ის სიტ-
ყვები შემდეგშია ბევრგან გამოვიყენე.

ა. ბასილაია



ბატანბული ბრავადიდან

- გამიღე წინა კარი, უნდა გადავხტე.
- არ შეიძლება!
- გამიღე, ბავშვიანი ვარ.



სტადიონის შესასვლელთან

- თქვენი ბილეთი?
- გაუშვი, ჩემთან არის. — უთხრა კონტროლიორს უკან
მდგომმა ახალგაზრდამ.
- თქვენი ბილეთი?
- გამოუშვი, ჩემთან არის. — უთხრა წინ შესულმა.

ბ. კაზაროვი



მილიციის სამოკრიზოში


- ეს უკვე მერამდენედაა, გალემილი რომ მოგიტანეს,
არა გრცხვნი?
- მრცხვნი.
- წაიღე შენი პასპორტი და, იმედია, მომავალში მაინც
ალარ გიხილავ აქ.
- რატომ, სხვა რაიონში გადადინხართ?

რ. მიშველაძე



ცირკში

- შეხედე, კაცო, ქალი ლომად გადაიქცა, რა ეშველება
ახლა მაგის ქმარს!
- არა უშავს, ბიძია, ჩემსავით შეჩვევა, სახლში ვეშაპი
მიწის.



დირექტორის მოსაცდელში


- ლამაზა გიორგენა ახალი დანიშნულია, ჯერ არავის
ღებულობს.
- მე მიმიღებს, ჩემი დანიშნულია.

ბ. ჩხაიძე




ნიანგი
პროგრესი
ნიანგი

ქ. სოხუმის ჩელუს-
კინელბის ქ. № 17-ში
მოქალაქე გურგენ ბა-
გდანის ძე შაკირიანმა
გახსნა დაზგათმამრავ-
ლებელი ქარხანა. აქ
დაინტერესებული ადა-
მიანი ნახავს სხვადა-
სხვა მარკის სახარატო
დაზგებს. არ გეგონოთ
დაზგები უმოქმედოდ
იდგნენ. ისინი დღე და
ღამე ქმნიან სხვადასხვა სახის საიუფე-
ლირო ნაწარმს და, განსაკუთრებით, ღვთისმოსავთა გულგასა-
ხარად აწ დეფიციტად ქცეულ ოქროს ჭვრებს, ჩვენი წმიდათა
წმიდა მაცხოვრის ჭვარცმის გამოსახულებით.



ეს ქარხანა ახლა ხათანადო ორგანოების მიერ ჩატარებუ-
ლი აღწერის გამო დროებით დაკეტილია, მაგრამ, თუ გურგენ
შაკირიანმა ისევ მოახერხა მისი ამუშავება... თუ ღმერთი
გწამთ, ვისაც ჭვრები გინდოდეთ, გურგენს მიაკითხეთ.



ამ მთის გეოლოგი-
ური წარმოშობის შე-
სახებ არც ერთ სახელ-
მძღვანელოსა და მეც-
ნიერულ ნაშრომში
დღემდე კრინტი არა-
ვის დაუძრავს, მაგრამ
ნურავის ნუ ჰგონია,
რომ იგი არ წარმოშო-
ბილა.

— სადა მდებარეობს იგი, როდის წარმოიშვა და რამ განა-
პირობა მისი წარმოშობა? — იგი მდებარეობს ოჩამჩირის რაი-
ონის სადგურ ტამიშში. წარმოიშვა ამ სამი წლის წინათ. საქა-
რთველოს სას. — სამ. ტექნიკის ტამიშის განყოფილებამ
მიიღო კალმეურნეობებისათვის ხელოვნური სასუქი და ხე-
ლოვნურ მთად დაახვავა რკინიგზის ხაზზე. ხელოვნურ სასუქს,
როგორც დღემდე სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურაშია
ცნობილი, ამჟამად ბენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების
სწრაფი ზრდისათვის.

აქ კი, ტამიშში, დრანდასა და აფხაზეთის სხვა პუნქტებში,
როგორც ჩანს, ხელოვნურ სასუქს იმისათვის იყენებენ, რომ
ფიქრობენ, ესაო და ლიანდაგებს უხდებო.

ლიანდაგებს სასუქი უხდება თუ არა, ამის რა მოგახსენოთ,
მაგრამ კალმეურნეობების ყანებს რომ მოუხდება, ეს საეჭვო
არ არის.

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბეღიაშვილი, ნ. დუმბაძე,
ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, მ. ქარჩავა, თ. კელიძე.

საქ. კ. ცენტრალური
კომიტეტის
გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ეურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“.
რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 2-76-69, ხაერთო განყოფილების — 2-10-49

ბელმოწ. დასაბ. 18/V-1961 წ. ქალ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა
რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნსტი“, ლენინის ქ. 14, შგ. № 885, უფ. 02479. ტარაჟი 40.000



ნაზ. გ. ლომიძის

იური გაგარინი ხალხთა სიყვარულის დაუძლეველი მიმზიდველობის რკალში.